

ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარეს ბატონ სულიკო თებიძეს

პეტიციის წარმდგენი სუბიექტების/მომხსენებლების  
სახელი, გვარი, მისამართი, ტელეფონის ნომერი:

1. ნინო ჩხაიძე, ქ. ბათუმი, გორგასალის # 57,  
ტელ.: 555 12 10 91
2. ნათია აფხაზავა, ქ. ბათუმი, თაყაიშვილის # 75  
ტელ: 599 77 71 85
3. ასლან ჭანიძე, ქ. ბათუმი, რუსთაველის #10  
ტელ: 593 30 71 55

### პ ე ტ ი ც ი ა

ქალაქის ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 14 სექტემბრის №50 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

ქალაქის ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 14 სექტემბრის №50 დადგენილების, მე-6 მუხლის „6.8“ პუნქტი განსაზღვრავს სარეკრეაციო ზონაში მდებარე ტერიტორიისათვის უძრავი ქონების (ობიექტების) დასაშვები (ნებადართული) სახეობების ჩამონათვალს. აღნიშნულ ჩამონათვალში სარეკრეაციო ზონაში სხვა ობიექტებთან ერთად დასაშვებია ისეთი ობიექტების მშენებლობა - როგორცაა: კაფეები, რესტორნები, სასტუმროები და საეკლესიო ობიექტები. მიგვაჩნია, რომ სარეკრეაციო ზონაში მსაგვსი ობიექტების მშენებლობა არ უნდა ხდებოდეს, რადგან ის ამცირებს ერთის მხრივ საჯარო სივრცის სარგებლობის უფლებას, ხოლო მეორეს მხრივ რეკრეაციულ სივრცეს. საზოგადოებრივი დანიშნულების მწვანე ნარგავების რაოდენობა (სარეკრეაციო ტყის მასივი-ნაკრძალი, პარკები, სკვერები), ქალაქის არსებული რეალობით მინიმალურ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. ქალაქ ბათუმში ერთ მცხოვრებზე მოდის 4.08 კვ.მ. საზოგადოებრივი დანიშნულების მწვანე ნარგავები, ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული მინიმუმ 12.0 კვ.მ.-სა, რაც მეტად დაბალი მაჩვენებელია. სწორედ ამიტომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ერთის მხრივ ქალაქ გეგმარებაში აღნიშნული კუთხით სათანადო ყურადღება და მეორეს მხრივ ქალაქმშენებლობით ნორმატიური დოკუმენტის სრულყოფა და ქალაქის საჭიროებაზე მორგება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 86-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და ბათუმის მუნიციპალიტეტის რეგლამენტის შესაბამისად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ამომრჩევლები პეტიციის სახით წარმოგიდგენთ „თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის ტერიტორიაზე დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 14 სექტემბრის №50 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ შესაბამისი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (დადგენილების) პროექტს.




წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, დადგენილების მე-6 მუხლის 6.8. პუნქტიდან, რეკრეაციული ზონის ტერიტორიისათვის უძრავი ქონების (ობიექტების) დასაშვები სახეობების ჩამონათვალიდან ამოღებულია ქვეპუნქტები: - კაფეები, რესტორნები, სასტუმროები და საეკლესიო ობიექტები.

გთხოვთ კანონმდებლობით დადგენილი წესით საკრებულოს სხდომაზე განიხილოთ, იმსჯელოთ და დააკმაყოფილოთ წარმოდგენილი პეტიცია.

პეტიციას თან ერთვის დანართები:

1. პეტიციის წარმდგენი სუბიექტის/მომხსენებლების პირადობის მოწმობების (პასპორტის) ასლები.
2. პეტიციის მხარდამჭერთა ხელმოწერილი ბლანკები. - 74 ც.
3. დადგენილების პროექტი.

პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებლის/მომხსენებლების სახელი, გვარი და ხელმოწერა:

1. ნინო ჩხაიძე 
2. ნათია აფხაზავა 
3. ასლან ჭანიძე 

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის  
საკრებულო  
პეტიციები № 11672  
07 დეკემბერი, 2017წ

07.12.2017 წელი

## ქალაქ ბათუმის საკრებულოს

## დადგენილება №

ქ. ბათუმი

„\_\_\_“ \_\_\_\_\_ 2017 წ.

„თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის ტერიტორიაზე დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 14 სექტემბრის №50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს:

## მუხლი 1

„თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 14 სექტემბრის №50 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 24/09/2012, სარეგისტრაციო კოდი: 330090020.35.132.016140) შეტანილ იქნას ცვლილება, და დადგენილების მე-6 მუხლის 6.8. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6.8. სარეკრეაციო ზონა (რზ):

ზონის ტერიტორიისათვის უძრავი ქონების (ობიექტების) დასაშვები სახეობები:

- პარკები;
- ბაღები;
- სკვერები;
- ბულვარები;
- დეკორატიული გაფორმების ობიექტები;
- მცირე არქიტექტურული ფორმები (საპარკო პავილიონები, როტონდები, კიოსკები, შადრევნები, დეკორატიული აუზები, წყლის სასმელები, კასკადები, არხები და სხვა);
- სპორტული მოედნები;
- პირველადი სამედიცინო დახმარების პუნქტები;
- სავაჭრო პავილიონები;
- ატრაქციონები;
- საწყალოსნო ობიექტები (ნავმისადგომები, პირსები, ელინგები);
- საერთო სარგებლობის ღია მიწისზედა ან/და მიწისქვეშა ავტოსადგომები;
- საზოგადოებრივი ტუალეტები;
- სამაყურებლო ობიექტები (ესტრადები, ამფითეატრები, საგამოფენო დარბაზები, კინოთეატრები);
- სპორტულ-ფიზკულტურული ნაგებობები (სტადიონები, სპორტდარბაზები, ღია და დახურული საცურაო აუზები);
- სათამაშო ავტომატების დარბაზები, საბილიარდოები და ა.შ.;
- ზოოპარკები;
- სკოლამდელი ასაკის საბავშვო სპეციალიზირებული დაწესებულებები;
- ადმინისტრაციის შენობები.“

## მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე:

სულიკო თებიძე



საქართველო  
საქართველოს იუსტიციის მინისტრის განკარგულებაში

IDENTITY  
CARD  
GEO



სახელი / FIRST NAME  
ნათია  
NATIA  
გვარი / LAST NAME  
აფხაზავა  
APKHAZAVA  
მის. / CIT. სქესი / SEX პირადი No / PERSONAL No  
GEO მდე / F 61001028972  
დაბადების თარიღი / DATE OF BIRTH  
04.03.1984  
შემდგომის თარიღი / DATE OF EXPIRY  
07.05.2025  
კარტის No / CARD No  
131J69908  
წმინდაწერი  
SIGNATURE

დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH  
ბათუმი  
BATUMI  
გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE  
07.05.2015  
გამომცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY  
იუსტიციის სამინისტრო  
MINISTRY OF JUSTICE  
სახელმწიფო სსი, რეგისტრაცია: MB-IDS 2014  
სსი-ს რეგისტრაცია No 20-3184



IDGEO131J69908561001028972<<<<  
8403043F2505071GEO<<<<<<<<<<<<<<<<<8  
APKHAZAVA<<NATIA<<<<<<<<<<<<<<<<<<<<



